პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 9 (504) ოთხშაბათი, 30 იანვარი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 26 იანვარს 18 საათსა და 50 წუთზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის (თირკმლის კიბო) შემდეგ კრემლის საავადმყოფოში მოსკოვს გარდაიცვალა მონღოლი ხალხის ბელადი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი მარშალი ჩოიბალსანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

## პროფკავშირთა ფიზკულტურის კოლექტივების ანგარიშგება-არჩევნები

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილებით 1952 წლის 1 თებერვლიდან 1 მარტამდე ტარდება საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების ანგარიშგება-არჩევნები.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მნიშვნელოვანი მოვლენაა ფიზკულტურის თვითეული კოლექტივის ცხოვრებაში. მან უნდა შეაჯამოს პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების განხორციელებისათვის, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის, ფიზკულტურელების სპორტული მიღწევების დონის შემდგომი ამაღლებისათვის გაწეული მუშაობა.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ამოცანები შესრულებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ჩავატარებთ მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე, ფიზკულტურული მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

პროფკავშირთა ფიზკულტურული კოლექტივების ანგარიშგება-არჩევნების წარმატების საწინდარია ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის ზუსტი დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს ფიზკულტურელთა ფართო დემოკრატიულ უფლებებს. თვითეული ფიზკულტურელი კარგად უნდა იცნობდეს ინსტრუქციით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, რათა არჩევნების დროს, რაც წელს პირველად ტარდება დახურული (ფარული) კენჭისყრით, მკაცრად იქნეს დაცული დემოკრატიის პრინციპები.

საჭიროა თვითეული საანგარიშო-საარჩევნო კრება ჩატარდეს დიდი აქტივობით, საქმიან ვითარებაში. ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობის განხილვაში ფიზკულტურელთა აქტიური მონაწილეობა ბევრად არის დამოკიდებული საანგარიშო მოხსენების შინაარსზე. თუ მოხსენებაში მოცემული იქნება როგორც კოლექტივის მიღწევების, ისე მის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა ღრმა ანალიზი, მაშინ მაღალი იქნება ფიზკულტურელთა აქტივობა, გაბედული იქნება კრიტიკა და თვითკრიტიკა. მხოლოდ საქმიან ვითარებაში შეუძლიათ ფიზკულტურის კოლექტივების წევრებს ყოველმხრივ განიხილონ ხელმძღვანელი ორგანოს — საბჭოს საქმიანობა, მისცენ მას სწორი შეფასება, დასახონ მშრომელთა შორის ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადება-ჩატარებაში ფიზკულტურის კოლექტივებს აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ ფიზკულტურის კომიტეტებმა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ზოგიერთ სპორტულ საზოგადოებაში („ლოკომოტივი", „შახტიორი", „მეტალურგი", „ბურევესტნიკი", „ნაუკა", „ისკრა") საბჭოების უფლებამოსილების ვადის დამთავრებასთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს ძირეულ ფიზკულტურული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, ზოგან კი უკვე ჩატარდა რესპუბლიკური კონფერენციებიც. მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობენ, ყველგან სათანადო სერიოზულობით არ მოეკიდნენ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. მაგალითად, დაბალ დონეზე ჩატარდა „ნაუკის" რესპუბლიკური კონფერენცია. აქ ფართოდ არ იყო გაშლილი რესპუბლიკური საბჭოსა და ძირეული კოლექტივების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკა.

საჭიროა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ბოლშევიკური პირდაპირობით ვამხილოთ ყველა ის ნაკლოვანება, რაც ჯერ კიდევ თან სდევს პროფკავშირთა ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობას, მოურიდებლად გავაკრიტიკოთ ყველა, ვინც ვერ იჩენს სათანადო უნარსა და პასუხისმგებლობას პროფკავშირებში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართოდ დანერგვისათვის.

ფიზკულტურის კოლექტივების ხელმძღვანელთა ვალია გულისხმიერად მოეპყრან ფიზკულტურელთა გამოსვლებს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, მხარი დაუჭირონ მათს საქმიან წინადადებებს, სწორი დასკვნები გამოიტანონ კრიტიკული შენიშვნებიდან.

პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებებში უკანასკნელი წლების მანძილზე აღიზარდა ასობით ახალგაზრდა აქტივისტი, სპორტის ენთუზიასტი, რომლებიც დიდი სიყვარულითა და მონდომებით ეკიდებიან ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. საჭიროა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების შემადგენლობაში წამოაყენონ ის აქტივისტები, რომლებიც სარგებლობენ ფართო მასების ნდობით და უნარი შესწევთ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ მშრომელთა ფიზიკური აღზრდის საქმე.

ახლად არჩეულმა საბჭოებმა თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ ფიზკულტურელთა აქტივის, რიგითი ფიზკულტურელების ყველა ის მოთხოვნა და სურვილი, რომლებიც მიმართულია პროფკავშირებში ფიზკულტურულ-მასობრივი და სასწავლო-სპორტული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისაკენ. ფიზკულტურელთა ფართო აქტივზე დაყრდნობით, ახალმა საბჭოებმა ენერგიული ბრძოლა უნდა გააჩაღონ პროფკავშირების ფიზკულტურის კოლექტივების წინაშე მდგომი დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის.

ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების ანგარიშგება-არჩევნების მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება ხელს შეუწყობს პროფკავშირებში ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ აღმავლობას, ფიზკულტურელთა სპორტული მიღწევების დონის შემდგომ ზრდას.

## ფინელი მოჭიდავეების ჩამოსვლა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მოწვევით 27 იანვარს მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი. გუნდის შემადგენლობაში არიან ფინეთის უძლიერესი მოჭიდავეები და ჩემპიონები.

სტუმრები მოსკოვში ჩაატარებენ ამხანაგურ შეხვედრებს საბჭოთა მოჭიდავეებთან.

## კოლმეურნე მეთხილამურეთა პირველობა

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტისაგან

26 იანვარი. საზეიმოდაა მორთული ბაკურიანის სათხილამურო ბაზის ეზო. ორ ტანაყრილ ნაძვს შუა შრიალებენ და მცხუნვარე მზეზე ნაირფერად კრთიან სპორტული ალმები.

საქართველოს „კოლმეურნის" მეთხილამურეთა რესპუბლიკური პირველობის მონაწილეები მზად არიან ასპარეზობისათვის, მთავარი მსაჯის გ. მელიას ნიშანზე გუნდების წარმომადგენლები მაღლა სწევენ პირველობის ალამს.

შეჯიბრება დაიწყო ქალთა ამანათრბენით 3×3 კმ.

პირველი მეტრებიდანვე ცხარე ბრძოლა გაიმართა. მეთხილამურეები სწრაფი ნაბიჯებით, რბენით მიეშურებოდნენ წინ, იმ ერთადერთ კვალისაკენ, რომელიც მკვეთრად ჩანდა თოვლზე. ნათხილამურევში პირველად ჩადგა აჭარის გუნდის წარმომადგენელი ა. ბერდნიკოვა, რომელსაც ფეხდაფეხ მიყვნენ დანარჩენნი. სტარტიდან თითქმის ერთი კილომეტრის მანძილზე ტრასა ღია მინდორს მიჰყვებოდა და ჯაჭვივით ერთ ხაზზე გაბმული მეთხილამურეები კარგა ხანს ჩანდნენ თეთრად გადაქათქათებულ მინდორზე. პირველ ეტაპზე ბერდნიკოვამ შეინარჩუნა ლიდერობა, მას რიგრიგობით მიჰყვნენ მ. ხაცევიჩი (თეთრი წყარო), ვ. მურჯიკნელი (ბორჯომის I გუნდი) და ფ. მალოვა (ბოგდანოვკა). მეორე ეტაპზე წინ ლ. ჰუსეინოვა (თეთრი წყარო) გაიჭრა, მაგრამ მესამე ეტაპზე ბორჯომელი თ. დიაკონაშვილი უდგება სათავეში ამანათრბენს და პირველი კვეთს ფინიშის ხაზს. მაგრამ ბორჯომელებს პირველი ადგილი არ მიეკუთვნათ, ვინაიდან ვ. მურჯიკნელმა თავის ეტაპზე დაარღვია შეჯიბრების წესი. პირველი ადგილი ერგო თეთრი წყაროს მეთხილამურეებს (1:10,39), მეორე — ბოგდანოვკის გუნდს (1:17,02), მესამე აჭარის კოლექტივს. (1:18,47).

ვაჟთა ამანათრბენში 4×5 კმ. თავიდანვე ცხადი გახდა ბორჯომის რაიონის I გუნდის აშკარა უპირატესობა. ს. ჯეირანაშვილმა სტარტიდანვე დიდი მანძილით გაუსწრო მეტოქეებს და თავისი ეტაპი გაიარა 22,22 წუთში. კარგი სისწრაფე აჩვენა შ. მარგიანმაც (ზემო-სვანეთი) — 24.28. შემდგომ ეტაპებზე ბორჯომის I გუნდის წევრებმა ზ. თვაურმა, გ. კვინიკაძემ და ბ. არბოლიშვილმა შეინარჩუნეს ლიდერობა და საბოლოო ჯამში აჩვენეს 1:33,21. მეორე ადგილი ერგო ბორჯომის II გუნდს (1:46,26), მესამე—აჭარისას (1:51,08).

სლალომში ვაჟთა შორის კონკურენციის გარეშე აღმოჩნდნენ ბაკურიანელი სპორტსმენები, რომლებიც კარგად ფლობენ სათხილამურო სპორტის ამ მეტად რთულ სახეს. ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ ტრასა გაიარა ზ. თვაურმა. გამარჯვებულის დროა 24.0 წამი. ბორჯომის II გუნდის წარმომადგენელმა გ. ბუძიშვილმა აჩვენა 29,8. მაღალი მომზადება გამოამჟღავნა კ. ხერგიანმა, რომელმაც დაიკავა მესამე ადგილი. 8 მონაწილემ შეასრულა III თანრიგის ნორმა. ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თ. დიაკონაშვილმა, რომლის შედეგია 24,2 წამი. დიდი განსხვავებით ჩამორჩნენ გამარჯვებულს მ. ხაცევიჩი (თეთრი წყარო) — 59,0 და ჰ. ოვანესიანი (ახალქალაქი) — 1:07,0.

მსაჯებმა სლალომში კონკურსს გარეშე მონაწილეობისათვის დაუშვეს 6 წლის ბაკურიანელი გოგონა ლიანა გოგოლაძე. ნორჩმა სლალომისტმა ჩინებულად გაიარა ტრასა და აჩვენა 45,0 წამი, რითაც III თანრიგის ნორმა შეასრულა.

მაღალ შედეგებს მიაღწიეს 10 კილომეტრზე რბენაში მონაწილე ვაჟებმა. ბაკურიანელმა მეთხილამურეებმა კვლავ ცხადყვეს მაღალი ტექნიკური მომზადება და დისტანციაზე ძალთა განაწილების უნარი. I თანრიგის შედეგები აჩვენეს ბ. არბოლიშვილმა (40,00), გ. კვინიკაძემ (40,05) და ს. ჯეირანაშვილმა (40,58). ა. ჯაფარიძემ (ზემო სვანეთი), ხ. სანაკოევმა (სამხრეთ ოსეთი), შ. მარგიანმა შეასრულეს II თანრიგის მოთხოვნა.

ქალთა შორის რბენაში 5 კილომეტრზე სულ ნაჩვენები იქნა ორი სათანრიგო შედეგი: მეორე თანრიგის ნორმა შეასრულა თ. დიაკონაშვილმა (26,18), ხოლო III თანრიგისა—ფ. მალოვამ (ბოგდანოვკა)—29,37.

კოლმეურნე მეთხილამურეთაგან მხოლოდ ორმა მიიღო მონაწილეობა ტრამპლინიდან ხტომაში. ზ. თვაური გადახტა 40 მეტრზე, ქულათა შეფასებით 216,5. გ. ბუძიშვილმა გადალახა 32,5 მეტრი (180,6 ქულა).

პირველობის უკანასკნელ დღეს, 28 იანვარს, ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 20, ხოლო ქალები 8 კილომეტრზე. საუცხოო მომზადება გამოამჟღავნა გ. კვინიკაძემ, რომელმაც თანაბარი სისწრაფით, კარგ ტემპში გაიარა ძნელი მანძილი. მისი დრო 1:20,49 პირველ თანრიგს უდრის. პირველი თანრიგის შედეგი აჩვენა აგრეთვე ბ. არბოლიშვილმა—1:21,10. მესამე ადგილზე გავიდა ა. ჯაფარიძე — 1:26,36. ქალთა რბენაში უძლიერესი თ. დიაკონაშვილი აღმოჩნდა. მან კვლავ დიდი განსხვავებით მოუგო თავის მეტოქეებს. დიაკონაშვილმა მანძილი დაფარა 42,50 წამში, ხოლო მეორე ადგილზე გამოსულმა მ. გორკოვამ (ბოგდანოვკა) აჩვენა 51,08.

სამი დღის საინტერესო ბრძოლის შემდეგ 41,5 საჯარიმო ქულით, პირველ ადგილზე გავიდა აჭარის კოლექტივი, მეორეზე — ბოგდანოვკა (45,5 ქულა), მესამეზე — თეთრი წყარო (46,0). მომდევნო ადგილები გაინაწილეს ახალქალაქის, ბორჯომის II, ზემო-სვანეთის, სამხრეთ ოსეთის, ცაგერის გუნდებმა.

* * *

შეჯიბრებამ ცხადყო სოფლის სპორტსმენთა თვალსაჩინო ზრდა. შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შედეგების მეტი ნაწილი მაღალი სპორტული მიღწევაა. შეჯიბრებაში მონაწილე მთელი რიგი ახალგაზრდა მეთხილამურეები მაღალი კლასის სპორტსმენები არიან. ისინი სისტემატურად უჩვენებენ I თანრიგის შედეგებს. ეჭვი არ არის, რომ სათანადო წვრთნის შემდეგ მათ შეუძლიათ ოსტატის ნორმის შესრულება.

მიუხედავად მიღწევებისა, „კოლმეურნის" მეთხილამურეთა მომზადებაში ჯერ კიდევ იგრძნობა სერიოზული ნაკლოვანებები. შეჯიბრებაში მონაწილე 9 გუნდიდან მხოლოდ 5 გამოვიდა სრული შემადგენლობით. სამხრეთ ოსეთის, ზემო სვანეთის, ცაგერის და ბორჯომის II კოლექტივებს არ ჰყავდათ ქალთა გუნდები, რამაც დაუკარგა მათ უფრო მაღალი ადგილების მოპოვების შესაძლებლობა. საერთოდ, მეთხილამურე ქალებმა ამ პირველობაში მეტად დაბალი შედეგები უჩვენეს — შეჯიბრების საერთო პროგრამიდან მხოლოდ 4 სათანრიგო შედეგი იქნა ნაჩვენები, რომელთაგან 3 თ. დიაკონაშვილს ეკუთვნის.

განსაკუთრებით სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს სლალომზე შეჯიბრების მონაწილეებმა. იმ ტრასაზე, სადაც მეთხილამურე ავითარებს უდიდეს სისწრაფეს, პირველობის ბევრი მონაწილე სხვადასხვა საშუალებას ხმარობდა იმისათვის, რომ მშვიდი და აუჩქარებელი ნაბიჯით გაევლო წინაღობები. ბევრმა მათგანმა წყლით დაასველა თხილამურები, რომ მას თოვლი მიჰკვროდა და არ გასრიალებულიყო. მ. მეხუზიძე და ხ. დეკანაძე (აჭარა), ჰ. სტრელცოვი (თეთრი წყარო), ა. მოვსესიანი (ახალქალაქი) მხოლოდ ზერელე მომზადების შემდეგ გაიყვანეს ამ რთულ სახეში მონაწილეობის მისაღებად. უარესი მდგომარეობა იყო ქალთა შორის. ფ. აქიბას (აჭარა), ს. ოვანესიანს (ახალქალაქი), ფ. მალოვას (ბოგდანოვკა) ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სლალომზე. თვით მეორე ადგილზე გასული მ. ხაცევიჩიც ნაბიჯით გადიოდა ტრასას.

შეჯიბრებაზე ადგილი ჰქონდა სპორტული ეთიკის დარღვევის უხეშ ფაქტს. ბორჯომის გუნდის წარმომადგენელმა ვერა მურჯიკნელმა ამანათრბენში 3×3 დაუშვებელი საქციელი ჩაიდინა მოწინააღმდეგე გუნდების წარმომადგენელთა მიმართ, რისთვისაც მსაჯთა კოლეგიამ სამართლიანად გააუქმა გუნდის შედეგი.

რამდენიმე სიტყვა ბორჯომის I გუნდის შესახებ. თქმა არ უნდა, რომ ეს გუნდი სხვა კოლექტივებზე გაცილებით ძლიერი იყო, მაგრამ მისი შედეგები მხოლოდ ინდივიდუალურ ჩათვლაში იქნა შეტანილი. ამაში ბრალი მიუძღვის „კოლმეურნის" ბორჯომის რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი. ამილახვარს, რომელმაც თავის დროზე არ იზრუნა სამანდატო კომისიისათვის მონაწილეთა საბუთების წარდგენაზე. ამის შედეგად კარგად მომზადებულმა, ძლიერმა კოლექტივმა დაჰკარგა პირველი ადგილი.

ბ. ქორქია

## უძლიერეს წყალბურთელთა ასპარეზობა

მოსკოვის მე-2 საცურაო აუზში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა 6 უძლიერესი გუნდის ტრადიციული ასპარეზობა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი სამხედრო-საჰაერო ძალთა კოლექტივი, მოსკოვის „დინამო", ცდსა და „ტორპედო", სამხედრო-საზღვაო ძალთა (ლენინგრადი) გუნდი და თბილისის „დინამო".

შეჯიბრების პირველ დღეს ვვს-ის წყალბურთელებმა დაამარცხეს ცდსა-ს კოლექტივი (10:6). ვვს-ის შემადგენლობაში წელს პირველად თამაშობს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელი მშვენიერაძე, რომელმაც არმიელებთან შეხვედრაში 6 ბურთი გაიტანა. მოსკოვის „დინამოს" და „ტორპედოს" შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 6:3. თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 2:6 წააგეს შეხვედრა ლენინგრადელ წყალბურთელებთან.

მაღალი წარმატებით აღნიშნეს შეჯიბრების მეორე დღე თბილისის დინამოელებმა. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მათ დაამარცხეს თავიანთი მოსკოველი თანაკლუბელები—6:5.

# თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ამ დღეებში შედგა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ზედგინიძემ.**

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

მოხსენება „სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. ჩარკვიანმა.**

ამხ. ჩარკვიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, გაფლანგვათა და მტაცებლობის სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლის გადაჭრით გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

პარტია და მთავრობა მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ სოციალისტური საკუთრების — საბჭოთა წყობილების საფუძვლის დაცვის საქმეს. საბჭოთა კანონები თავიანთი მახვილით მიმართულია პირველ რიგში საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებელთა წინაამდეგ.

გაფლანგვა-მტაცებლობასთან ბრძოლაში პარტიული ორგანიზაციები განუხრელად უნდა ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ სტალინის მითითებით, რომ „ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, ბრძოლა ყველა ღონისძიებით და საშუალებით, რომელსაც გვაძლევენ საბჭოთა ხელისუფლების კანონები, — პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს“.

მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სოციალისტური საკუთრების დაცვის დარგში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

სოციალისტური საკუთრების დაცვის დარგში განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. სახალხო მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს მტაცებლობის ფაქტები, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვთ მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში. ეს იმის შედეგია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო წარმატებებით გატაცების გამო, შეასუსტეს ყურადღება მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებისადმი.

არკვევს რა გაფლანგვა-მტაცებლობის გამომწვევ მიზეზებს, ამხ. ჩარკვიანი ამბობს, რომ ეს მეტწილად ხდება იქ, სადაც ირღვევა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა აღრიცხვის, რევიზიების მოხდენის, სამუშაოზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიღების კანონით დადგენილი წესი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა გადაჭრით და საბოლოოდ აღმოიფხვრას მექრთამეობა — ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მოვლენა, რომელიც ჩვენში შემორჩენილია, როგორც ძველი წყობილების ნაშთი.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება და დახმარება სახელმწიფო ორგანოებისადმი, რომლებიც მოწოდებული არიან იბრძოლონ სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის

სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, მექრთამეთა და გამფლანგველთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა, მათი ულმობლად დასჯა შეხამებული უნდა იქნას მშრომელთა შორის ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობასთან.

თუ არ იქნა ქურდობისა და მექრთამეობის, როგორც საბჭოთა პირობებში სამარცხვინო და შეუწყნარებელი მოვლენის, საზოგადოებრივი გაკიცხვა, არ შეიძლება ბოლო მოეღოს ამ დანაშაულობებს. სასამართლოს მკაცრი განაჩენის გარდა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, „აქ საჭიროა სხვა ღონისძიება, უფრო საიმედო და უფრო სერიოზული. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ, შეიქმნას ასეთი ქურდბაცაცების ირგვლივ საერთო მორალური ბოიკოტისა და გარშემო მყოფი საზოგადოების სიძულვილის ატმოსფერო. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ გაჩაღდეს ისეთი კამპანია და შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო მუშებსა და გლეხებს შორის, რომელიც მოსპობდა ქურდობის შესაძლებლობას, შეუძლებელს გახდიდა სახალხო დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდების ცხოვრებასა და არსებობას“.

უკანასკნელ ხანს პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ბრძოლა მექრთამეობასთან, მტაცებლობასა და გაფლანგვასთან, იღებენ უფრო ქმედით ღონისძიებებს დამნაშავეთა მხილებისა და დასჯისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შორის. მაგრამ ამ მიმართულებით ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში, ამ მუშაობაში ჩავაბათ მოსახლეობის ყველა ფენა, განუწყვეტლივ ვუნერგავდეთ ხალხს სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობას.

სოციალისტური საკუთრების დაცვასა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებასთან დაკავშირებული ამოცანების წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანესი პირობაა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა.

პარტიული და საბჭოთა მუშაკების მთელი საქმიანობა, თვითეული კომუნისტის, ყველა საბჭოთა ადამიანის მუშაობა უნდა ექვემდებარებოდეს საბჭოთა საზოგადოების ინტერესებს, ჩვენი დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს.

ამთავრებს რა თავის მოხსენებას, ამხ. ჩარკვიანი ამბობს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია — ბოლშევიკების დიადი პარტიის ერთგული რაზმი, ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, — ბოლშევიკურად დასძლევს მის წინაშე მდგომ ყველა ამოცანას.

მოხსენების გამო გამართული კამათის მონაწილეებმა მოიყვანეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სერიოზულ ნაკლოვანებებს სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში, ილაპარაკეს ამ დარგში პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებელთა და საბჭოთა კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

პარტიის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. **გ. ცქიტიშვილმა** და პარტიის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. **ზ. კვაჭაძემ** თავიანთ გამოსვლაში ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ პარტიული ორგანიზაციები ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერებისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისადმი.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. **ი. მონიავამ** აღიარა მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობა კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაში და ილაპარაკა გაფლანგვა-მტაცებლობის აღმოსაფხვრელად უკანასკნელ ხანს მიღებულ ღონისძიებებზე.

თბილვაჭრობის დირექტორი ამხ. **პ. კილასონია** შეჩერდა იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდება თბილვაჭრობის სისტემაში სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისათვის. მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ცალკეული მუშაკები, რომლებიც შემარიგებლობას იჩენენ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებისადმი.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. **ი. გეტაშვილმა** და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ამხ. **დ. ტაბატაძემ** ილაპარაკეს რკინიგზაზე სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, კადრების შემოწმებისა და შერჩევის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ამხ. **გ. რობაქიძის** გამოსვლა მიეძღვნა სამინისტროს საწარმოებში სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისათვის ბრძოლის საკითხებს.

სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებაში პროკურატურის, სახალხო სასამართლოების როლს მიუძღვნა თავისი გამოსვლა რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. **მ. ლომიძემ.** მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში სახალხო სასამართლოებს საბჭოთა კანონების დამრღვევებისათვის ლმობიერი განაჩენები გამოაქვთ.

სახელმწიფო კონტროლის მინისტრმა ამხ. **მ. ჩუბინიძემ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უწყობენ საბჭოთა კანონების დარღვევას, სოციალისტური საკუთრების დატაცებას. მას მოჰყავს მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დატაცების გამომჟღავნებული ფაქტები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **თ. ქვლივიძემ** აქტივის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

საწარმოებში სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისათვის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა პარტიის 26 კომისრის რაიკომის მდივნის ამხ. **ი. ხხირტლაძისა** და ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის ამხ. **მ. ჭანტურიძის** გამოსვლები.

კამათის დასასრულს საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **კ. ჩარკვიანი.** მან ხაზი გაუსვა, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის მუშაობა არ არის მოკლევადიანი კამპანია. ეს არის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი მუდმივი და ძირითადი ამოცანა. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ვიბრძოლოთ მთელი ბოლშევიკური ენერგიით და შეუპოვრობით.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ყოველმხრივ გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის, კიდევ უფრო აამაღლონ იდეოლოგიური მუშაობა, ფართოდ გაშალონ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება პარტიისა და ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

# სპრინტერი ველომარბიელის მზადება სეზონისათვის

საველოსიპედო სპორტის სეზონი, როგორც წესი, წყდება გვიან შემოდგომაზე. უკანასკნელი შეჯიბრების შემდეგ, დაახლოებით ნოემბრიდან, იწყება გარდამავალი პერიოდი. ამ დროს ველომარბიელმა ერთბაშად არ უნდა შეწყვიტოს ვარჯიში და, როგორც იტყვიან, არ ჩამოვიდეს ველოსიპედიდან. დაუშვებელია დაძაბული შეჯიბრებებით და სისტემატური წვრთნით აღსავსე სეზონის შემდეგ ორგანიზმის უცბათ პასიურ მდგომარეობაში გადაყვანა, რადგან ასეთი მკვეთრი ცვლილება უარყოფითად იმოქმედებს სპორტსმენის ორგანიზმზე.

გარდამავალ პერიოდში ველომარბიელის ამოცანებია:

1. დატვირთვის თანდათანობითი დაკლება და მცირე ხნით აქტიურ დასვენებაზე გადასვლა;
2. განვლილ სეზონში მიღწეული ფსიქო-ფიზიკური ჩვევების შენარჩუნება;
3. სხეულის შემდგომი გავარჯიშება მთთ კომპლექსის გამეორებით.

ამ ამოცანების შესასრულებლად ველომარბიელს თავის გეგმაში შეაქვს: ველოსიპედით გზატკეცილზე გასეირნება გადამცემთა ტოლობის თანდათანი შემცირებით 89-დან 84-მდე, ფეხით გასეირნება ტყეში (ტურიზმი, ნადირობა), მეცადინეობა სპორტის სხვადასხვა სახეში (განსაკუთრებით სპორტთამაშებში), კროსები და სხვ.

გარდამავალ პერიოდში ველოსიპედით უნდა ვისარგებლოთ, როგორც ტრანსპორტის საშუალებით ქალაქგარეთ მგზავრობისათვის. გზატკეცილზე შეიძლება გამოვიყენოთ სატრეკო ველოსიპედიც (თუ სხვა არ არის), მოხერხებული მგზავრობისათვის საჭე მაღლა ავწიოთ და, როგორც ვთქვით, გამოვცვალოთ გადამცემი. ასეთ შემთხვევაში ველოსიპედს თვლებზე უნდა გავუკეთოთ 500-600-გრამიანი მძიმე ტიპის სალტე, შეიძლება ნახევრად მძიმეც—350-გრამიანი.

კვირაში ერთხელ საჭიროა 30-40 კილომეტრიანი გასეირნება გზატკეცილზე დროდადრო 200-300 მ. აჩქარებით.

დარბაზში ზამთრის მეცადინეობის შემდეგ ველომარბიელმა აუცილებლად უნდა დაიწყოს ვარჯიში გზატკეცილზე ჯგუფთან ერთად. ეს საჭიროა იმისათვის, რომ იგი შეეჩვიოს „თვალში ჯდომას“ და უკან ან გვერდით მავალ ველომარბიელებთან ტაქტიკური ვარიანტების გაუმჯობესებას.

პირველი გასვლისას გზატკეცილზე უსწორმასწორო ზედაპირის გამო სპორტსმენი იგრძნობს ნჯღრევას, რისი თავიდან აცილების მიზნით უნაგირი უნდა დავწიოთ 1-1,5 სანტიმეტრით დაბლა და 2-3 სანტიმეტრით უკან, ხოლო საჭე ავწიოთ მაღლა 5-6 სანტიმეტრით. ტემპში სვლისას საჭეს ხელი უნდა მოვკიდოთ არა ხელტარზე, არამედ ზედა მილზე, რაც საშუალებას მოგვცემს ვიჯდეთ ვერტიკალურად და არა წელში მოღუნული, როგორც ტრეკზე რბოლისას.

ამგვარი ჯდომით სპრინტერი არ და[...] იღლება 30-40 კილომეტრის გავლ[...] დროსაც კი. დაახლოებით 6-8 მეც[...] დინეობის შემდეგ „მართჯდომა“ თან[...] დათან შეიძლება შევცვალოთ ტრეკ[...] ჩვეული ძირითადი ჯდომით.

ტრეკზე ვარჯიშის დაწყების[...] სპრინტერის ველოსიპედი უნდა ი[...] გეს პატარა გადამცემზე—წინა კბ[...] ლანა 46 ან 48-ზე, უკანა კი 19 [...] 20-ზე. კბილანები უნდა იყოს არ[...] თავისუფალი, არამედ „ყრუ“ სვლი[...] ასეთ გადამცემთა ტოლობით საჭ[...] როა სვლა 20-40 კილომეტრამდე ნ[...] ლა და აუჩქარებლად. ამით სპრინ[...] ტერი მიეჩვევა ხანგრძლივ სიარულ[...] ვიწრო და მაგარ უნაგირზე. შემდე[...] როცა კუნთები შეეჩვევა ხანგრძლი[...] მუშაობას, შეიძლება გადამცემთა ტ[...] ლობის გადიდება (48X18) და ტ[...] პიან მუშაობაზე გადასვლა.

მეცადინეობის პირველ დღეებიდა[...] ვე იწყება გუნდური სვლა ურთიერ[...] ლიდერობით. ტემპით ვარჯიში დრ[...] გამოშვებითი ლიდერობით გრძელდ[...] ბა 2 კვირის განმავლობაში.

მესამე კვირის ბოლოს, როდესა[...] სპორტსმენი შეეჩვევა ჯგუფურ სი[...] რულს საშუალო ტემპით, მას შეუ[...] ლია გაადიდოს გადამცემთა ტოლო[...] 81-მდე და გადავიდეს სპრინტერულ[...] გამძლეობის გამომუშავებაზე. საჭი[...] სოდ უმჯობესია ტოლძალიანი შემად[...] გენლობის 4-5 კაციან ჯგუფშ[...] ვარჯიში ყოველ 300-400 მეტრზ[...] ლიდერის ცვლით. ასეთი ვარჯიშ[...] გრძელდება ერთი კვირის განმავლ[...] ბაში. ამ დროს რეკომენდირებულ[...] 50-70-მეტრიანი აჩქარებების ჩატარ[...] ბა 5-6 ჯერ, რაც შემდეგში გაზ[...] დილი იქნება 200-300 მეტრამდე.

მაისში სპრინტერის ველოსიპედზ[...] გადამცემთა ტოლობა 84-86-ზე უნდ[...] იყოს დაყენებული. კარგი იქნება, თ[...] სავარჯიშო თვალს ორივე მხრივ ე[...] ნება კბილანები (ცალ მხარეს 1[...] კბილანა, მეორე მხარეს—17).

თუ ვარჯიში ტარდება სისწრაფეზ[...] და ტემპზე, წინ დავდგამთ 48 კბილ[...] ნიან გადამცემს და ტოლობას მივ[...] ღებთ 86-ს.

იმ შემთხვევაში, თუ მეცადინეობ[...] ვატარებთ დიდ მანძილზე, თვალ[...] უნდა მოვაბრუნოთ მეორე მხარეს [...] ჯაჭვი დავაყენოთ 17-იან კბილანაზ[...] მივიღებთ ტოლობას 76-ს. ასეთ გ[...] დამცემთა ტოლობაზე ადვილი იქნე[...] 60-70 კილომეტრის გავლა. სისწრა[...] ფეზე ვარჯიშისათვის ამ დროს უ[...] და გამოვიყენოთ დაღმართიანი გზ[...] ტკეცილები, სადაც შესაძლებელ[...] მაქსიმალური სიჩქარის განვითარე[...] და მასზე ტერფბრუნვის შეჩვე[...] უკან დაბრუნებისას აღმართებზე ვა[...] ჯიში კარგია ძალის გამომუშავებ[...] თვის.

ასეთი ვარჯიშით სპრინტერი ემზ[...] დება ტრეკზე შეჯიბრებებისათვ[...] კარგი ტერფბრუნვით დიდ გადამცემ[...] ტოლობაზე 92-94. ამ პერიოდში მ[...] ცადინეობა უნდა ჩატარდეს კვირა[...] ოთხჯერ.

ვ. ჯონჯოლიანი,
სპორტის ოსტატი.

# რა ფასი აქვს ასეთ შეფობას?

გასულ წელს დიდი ჯიხაიშის ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივმა მოწოდებით მიმართა საქართველოსა და უკრაინის ყველა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზიკური კულტურის კოლექტივს ფართოდ ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში ტექნიკუმებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამ მოწოდებამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა სოხუმის სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმის მოსწავლე ფიზკულტურელთა შორის. ჯიხაიშელთა მოწოდების განხილვისადმი მიძღვნილ კრებაზე მათ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და აიღეს შეფობა სოხუმის რაიონის სოფ. ახალსოფლის გამსხვილებულ კოლმეურნეობა „ბაღნარზე“.

ეჭვი არ იყო, რომ ამის შემდ[...] საშეფო კოლმეურნეობაში ფართ[...] გაიშლებოდა ფიზკულტურული მ[...] შაობა, განახლებული იქნებოდა სპო[...] ტული მოედნების მშენებლობა, რ[...] ამ დროისათვის შეწყვეტილი იყო [...] ლაც ობიექტური მიზეზებით.

მაგრამ ტექნიკუმის ფიზკუ[...] ტურელთა ვალდებულებები ქაღალ[...] ზე დარჩა, მოედნების მშენებლო[...] დამთავრებას, ფიზკულტურული მ[...] შაობის გარდაქმნას ახალსოფელ[...] მაინც არაფერი ეშველა. აქ ტექნიკუ[...] ფიზკულტურელთა ინიციატივით ა[...] ერთი სექცია არ შექმნილა, არც [...] თი საჩვენებელი გამოსვლა ან ამ[...] ნაგური შეჯიბრება არ მოწყობილ[...] ფიზკულტურულ თემებზე საუბრ[...] ისა და მოხსენებების ჩატარებ[...] ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

პ. ქულბაქიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ფოსტიდან

# ავღმოფხვრათ სამარცხვინო ჩამორჩენა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ყველა პირობა არსებობს სათხილამურო სპორტის ფართოდ დანერგვისათვის, მაგრამ ფიზკულტურის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების, აგრეთვე „ისკრის", „სპარტაკის", „დინამოს" და სხვა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ამ საქმეში ადგილი აქვს შეუწყნარებელ ჩამორჩენას.

მიმდინარე წელს საქართველოში ჩატარდება მთელი რიგი სერიოზული სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები სათხილამურო სპორტში (რესპუბლიკის პირველობა, სოფლის ახალგაზრდობის შეჯიბრება, მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრება, პროფკავშირულ-კომკავშირული საკავშირო მასობრივი კროსი და სხვ.). ამ ღონისძიებებში წარმატებით მონაწილეობის მისაღებად აქედანვე უნდა გაიშალოს ენერგიული მზადება, საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით სისტემატურად უნდა წარმოებდეს საწვრთნელი ვარჯიში იმ მეთხილამურეებისა, რომლებიც შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას.

მაგრამ ამ მხრივ ოლქში ყველაფერი რიგზე არ არის. საქმეს დიდად აფერხებს საჭირო ინვენტარის სიმცირე. მართალია, სტალინირის პედსასწავლებელსა და ქალთა № 3 სკოლაში საკმაო რაოდენობით აქვთ თხილამურები, მაგრამ მათ სრულებით არ მოეპოვებათ სამაგრები და ჯოხები. არც ერთი წყვილი თხილამური არ გააჩნია სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტს. ასევე ითქმის ზოოტექნიკუმის, საშუალო სამედიცინო სკოლის, სამხატვრო სასწავლებლისა და ქალაქის სხვა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებზე. გასულ წელს საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო ქალაქში სპორტული ინვენტარის მაღაზიის გახსნის შესახებ, მაგრამ „იუგოსტორგს" ამ დადგენილების შესასრულებლად დღემდე არაფერი არ გაუკეთებია.

თუ წინა წლებში ოლქი განიცდიდა სათხილამურო სპორტის სპეციალისტთა ნაკლებობას, ახლა ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორებულია, სტალინირს უკვე ჰყავს თანრიგოსანი მეთხილამურეები, მაგრამ მათ გამოყენებაზე არავინ ფიქრობს.

დროა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა თავი დააღწიონ უდარდელ დამოკიდებულებას სათხილამურო სპორტის განვითარებისადმი.

**ი. სვანიძე,**
ქ. სტალინირის პედსასწავლებლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

# საჭირო ყურადღების მიქცევა

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის და კაგანოვიჩის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობები მოწინავენი არიან არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც.

ამ კოლმეურნეობებში მრავლად არის სპორტის მოყვარული ახალგაზრდობა, მაგრამ მათთან არავითარი მუშაობა არ ტარდება. ან რა მუშაობა უნდა წარმოებდეს, როცა კოლმეურნეობებს არა აქვთ არც ერთი სპორტული ბაზა და არავითარი სპორტული ინვენტარი.

რატომღაც, ამ არანორმალურ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერიან, როგორც კოლმეურნეობათა გამგეობები და კომკავშირული ორგანიზაციები, ისე სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული საბჭო.

**ვ. გოგზალიშვილი**

## გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

### „მეტი ყურადღება საჭადრაკო ხელოვნებას"

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულ წერილების მიმოხილვაში „მეტი ყურადღება საჭადრაკო ხელოვნებას" აღნიშნული იყო, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში, მიუხედავად ახალგაზრდობის დიდი დაინტერესებისა, საჭადრაკო სპორტს არ ექცევა ყურადღება.

როგორც ლანჩხუთის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. რუსიძე გვწერს, წერილი განხილულ იქნა კომიტეტის სხდომაზე. კოლმეურნეობაში ჭადრაკის განვითარების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიმაგრებულია კომიტეტის წევრი.

## ვვს-ის ჰოკეისტები — ჩემპიონები



მოსკოვის ვვს-მა და ცდსა-მ საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში დაამთავრეს ქულათა თანაბარი რაოდენობით (18-18). გამარჯვებულის გამოსარკვევად მათ შორის დაინიშნა დამატებითი შეხვედრა, რომელიც მოიგეს მფრინავებმა — 3:2.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის 1952 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდმა. მომდევნო ადგილებზე არიან: ცდსა, „დინამო" (მოსკოვი), „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი), „დაუგავა" (რიგა), „ძერჟინეცი" (ჩელიაბინსკი).

ვვს-ის ჰოკეისტებს გადაეცათ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის ჟილდო და პირველი ხარისხის დიპლომები. **სურათზე:** ვვს-ის და ცდსა-ს ჰოკეისტების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

## მოკლე ცნობები

დამთავრდა თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველობის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. საინტერესო და დაძაბულ ასპარეზობაში პირველი ადგილი მოიპოვა ა. გორგაძემ, რომელმაც შეჯიბრება წაუგებლად ჩაატარა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჯ. ჯიბლაძე, მესამეზე — ვ. მანჯავიძე.

**მ. ფირცხალავა**

* * *

ამას წინათ თბილისის მეტალურგიულ ტექნიკუმში ჩატარდა საჭადრაკო ტურნირი ტექნიკუმის პირველობაზე. 13 შესაძლებლიდან 12 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი მოიპოვა მესამეთანრიგოსანმა გ. ბეჟენცევმა.

**გ. გარგაძაძე**

## ჭადრაკი

# თბილისის 1952 წლის პირველობა

**მაყურებლის დღიურიდან**

**26 იანვარი.** დღეს, მეოთხე ტურში ყველა პარტია დაძაბულად მიმდინარეობდა. როდესაც ჯაკობიამ (თეთრები) დებიუტში ბლაგიძეს პაიკის შეწირვის შემდეგ კუც „შესთავაზა", მაყურებლები განცვიფრებული დარჩნენ. რა საჭირო იყო ასეთი „გულუხვობა", შავების პოზიციაში ხომ ისედაც იგრძნობოდა ბევრი სისუსტე? ბლაგიძემ მიიღო შეწირვა და გაჩაღდა მწვავე თამაში. ბოლოს ოსტატობის კანდიდატმა მოახერხა პოზიციის გამარტივება, მაგრამ ჯაკობიამ ნაწილობრივ აღიდგინა მატერიალური დანაკლისი. პარტია გადაიდო.

ებრალიძემ ოსტატურად გამოიყენა თაბორიძის მიერ ენდშპილში დაშვებული შეცდომები და 42-ე სვლაზე მოიგო პარტია.

უცნაურად თამაშობდა ბუსლაევთან ალამალიანი. პარტიის სწრაფად მოგების სურვილით გატაცებული ალამალიანი დებიუტიდანვე არ დაერიდა მსხვერპლის გაღებას. იგი გულუხვად სწირავდა ხან პაიკს, ხან კუს, ხან ისევ პაიკს, ხან მხედარს... ბოლოს, როდესაც ასეთმა თამაშმა სასურველი შედეგი არ მისცა და შესაწირავიც აღარაფერი დარჩა, ალამალიანმა თავი დამარცხებულად ცნო.

გაჩეჩილაძემ კრიტიკულ მომენტში დამაჯერებლად გამოიყენა ტიმოფეევის შეცდომა. ცაიტნოტში მყოფმა ტიმოფეევმა გაჩეჩილაძისათვის უკვე მოსაგებ მდგომარეობაში ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება და მას წაგება ჩაეთვალა. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

ტურნირზე გამოაცხადეს, რომ მესამე ტურის პარტიაში ალამალიანი და ებრალიძე ყაიმზე შეთანხმდნენ, ხოლო ოსტატობის კანდიდატი ვეიზერი ავადმყოფობის გამო აღარ განაგრძობს შეჯიბრებას.

* * *

**27 იანვარი.** დღეს ელიოზიშვილმა მეხუთე ტურში ფიგურების ღამაზი გადაჯგუფებით, რასაც მოყვა პატარა კომბინაცია, 28-ე სვლაზე დაამარცხა ტუგარინოვი. ეს მისი მესამე გამარჯვებაა.

ოსტატმა ებრალიძემ მხოლოდ შეუპოვარი თამაშით მიაღწია ყაიმს ბლაგიძესთან. ახლა ოსტატს 4 ქულა აქვს.

უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ჭადრაკის მხედარიც კოჭლობს. ასე მოხდა წოწოლაშვილ-გაჩეჩილაძის პარტიაში. წოწოლაშვილმა უკეთეს მდგომარეობაში ცუდად „აჯირითა" მხედარი და როდესაც მან სადღაც „ფეხის დაზიანების" გამო მცდარი სვლა გააკეთა, გაჩეჩილაძემ ლაზიერის, ეტლის და კუს დახმარებით სწრაფად დაატყვევა მოწინააღმდეგის მეფე.

დავრანიანი ყოველ პარტიაში ცდილობს იერიშის განვითარებას, ჩქარობს კომბინაციების წამოწყებას, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევს. ცხადია, ეს გამოუცდელობით მოსდის. დღეს ჯაკობიასთან მან ნაჩქარევი შეტევით უსაფუძვლოდ შეწირა ორი ფიგურა და უბრძოლველად დასთმო პარტია. ტიმოფეევ-არშტეინის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

**ნ. იმესაშვილი**

### ს. ლოიდის სამი შეკითხვა



ეს ამოცანა ეკუთვნის გასული საუკუნის გამოჩენილ საჭადრაკო კომპოზიტორს სამუილ ლოიდს. ავტორი ამომხსნელთა წინაშე აყენებს შემდეგ სამ შეკითხვას: სად უნდა დაისვას შავების მეფე, რომ იგი უკვე იყოს საშამათო მდგომარეობაში, რომ იგი უკვე იყოს პატის მდგომარეობაში და რომ იგი თეთრებმა დააშამათონ ერთ სვლაში?

# ნორჩ მოშაშეთა ტურნირი

**ბათუმი.** დამთავრდა ნორჩ მოშაშეთა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე. ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა მე-5 სკოლის მოსწავლე ლ. ლუკიანოვი.

**პ. სახეჩიძე**

# მოვაწესრიგოთ აღრიცხვა-ანგარიშგება ფიზკულტურულ ორგანიზაციებში

აღრიცხვა-ანგარიშგებას ფიზკულტურულ ორგანიზაციებში უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მას დიდი როლი ენიჭება ფიზკულტურული ორგანიზაციების ზრდის დინამიკის დასადგენად და ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარების დასაგეგმად. სწორად დაყენებული აღრიცხვა-ანგარიშგება საშუალებას გვაძლევს სისტემატური კონტროლი გავუწიოთ ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობას, ვებრძოლოთ უყაირათობას, მუშაობაში იერიშობანას.

მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები და სპორტსაზოგადოებათა საბჭოები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სახელმწიფო სტატისტიკური ცნობების წარმოდგენას, არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას ძირეული ფიზკულტურული ორგანიზაციების მიმართ აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში. მთელ რიგ ძირეულ ფიზკულტურის კოლექტივებს არ მოეპოვებათ სექციური მუშაობის, მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსნების მომზადების აღრიცხვის ჟურნალები, სტატისტიკურ ანგარიშებს ადგენენ ყოველგვარი პირველადი დოკუმენტაციის გარეშე. მაგალითად, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, თბილისის № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის, № 1 სამკერვალო ფაბრიკის, № 1 თამბაქოს ფაბრიკის, თბილისის მე-19 ვაჟთა საშუალო სკოლის და გორის რაიონის სოფ. ხიდისთავის ფიზკულტურის საბჭოებს არა აქვთ ფიზკულტურის კოლექტივის წევრთა სიები, მათ არც სექციებში მომეცადინეთა ზუსტი აღრიცხვა მოეპოვებათ.

მთელი რიგი კომიტეტები ნაკრებ სტატისტიკურ ანგარიშებს ადგენენ ძირეული კოლექტივებიდან წარმოდგენილი ანგარიშების ყოველგვარი შემოწმების გარეშე. გარდაბნის რაიონული კომიტეტის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით რაიონში იმშთ ნიშანზე მომზადებულია 130 კაცი, ხოლო მშთ I საფეხურზე — 228 კაცი. შემოწმებით კი გამოირკვა, რომ ფაქტიურად რაიონში მომზადებულია იმშთ 98 და მშთ I საფეხურის 77 ნიშნოსანი. ფოთის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშში სინამდვილეს არ შეეფერება სექციებში მომეცადინეთა რაოდენობა (ძირეული კოლექტივებიდან წარმოდგენილი ანგარიშების ჯამი არ შეესაბამება ნაკრებ ანგარიშში მოყვანილ ცნობებს).

აღრიცხვა-ანგარიშგების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ხშირად კურიოზებამდეც მიყავს საქმე. ჩხოროწყუს რაიონულმა კომიტეტმა 9 თვის ანგარიშში უჩვენა მშთ I საფეხურზე მომზადებული 678 კაცი, წლიურ ანგარიშში კი ეს ციფრი 607-მდე შემცირდა! რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ესართია თავს იმით იმართლებს, რომ სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებმა შემაცდინეს, თავის დროზე ზუსტი ცნობები არ წარმომიდგინესო (!?).

ამბროლაურის და ქვემო სვანეთის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტები, მოწყვეტილი არიან რა ძირეულ ფიზკულტურის კოლექტივებს, ხშირ შემთხვევაში არ ღებულობენ მათგან სათანადო სტატისტიკურ ანგარიშებს და ნაკრები ანგარიშების შესადგენად იყენებენ წინა კვარტალის ცნობებსა და სიტყვიერად გადმოცემულ ციფრებს. ამის შედეგად რესპუბლიკურ კომიტეტში წარმოდგენილ ნაკრებ ანგარიშებში ხშირად შეხვდებით ხელოვნურად გაზრდილ ციფრებს. მაგალითად, ამბროლაურის რაიონიდან წარმოდგენილი 9 თვის ნაკრები ანგარიშის (ფორმა № 4) მიხედვით იმშთ ნიშანზე მომზადებულია 1.763 კაცი. შემოწმების შედეგად კი გამოირკვა, რომ ფაქტიურად მომზადებულია 489 კაცი. ასევე ხელოვნურად არის გაზრდილი აღნიშნულ ანგარიშში მშთ I საფეხურზე მომზადებულთა რიცხვი—855 კაცის ნაცვლად ნაჩვენებია 1.426.

მოუწესრიგებელია სტატისტიკური აღრიცხვა-ანგარიშგების საქმე აგრეთვე ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ქუთაისის და ზოგიერთი სხვა რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოებიც სისტემატურად არ ამოწმებენ ანგარიშგება-აღრიცხვიანობის მდგომარეობას ფიზკულტურის კოლექტივებში. ამის შედეგად რაიონული საბჭოები და ძირეული ფიზკულტურის კოლექტივები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. მაგალითად, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" მცხეთის რაიონული საბჭოს სტატისტიკურ ანგარიშში მშთ I საფეხურის ნიშანზე მომზადებულთა რაოდენობა ნაჩვენებია 285, ფაქტიურად კი უნდა იყოს 185.

დროა ფიზკულტურის კომიტეტებმა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრისათვის. ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სრულ წესრიგში უნდა მოიყვანონ ძირეულ კოლექტივებში აღრიცხვა-ანგარიშგების საქმე, უზრუნველყონ ფიზკულტურულ კოლექტივების მიერ არსებული წესით და დაწესებულ ვადებში ზუსტი ანგარიშების წარდგენა კომიტეტში. კომიტეტებმა სისტემატურად უნდა შეამოწმონ ძირეულ კოლექტივებში მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების მიმდინარეობა, დაეხმარონ მათ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა აღრიცხვის მოწესრიგების საქმეში. ამავე დროს კომიტეტების ვალია ამხილონ და მკაცრი ზომები მიიღონ იმათ მიმართ, ვინც ციფრობრივი მაჩვენებლების ხელოვნური ზრდით, თვალისახვევის გზით შეეცდება არასწორი ცნობების წარდგენას ზემდგომ ფიზკულტურულ ორგანოებში.

ფიზკულტურის კომიტეტებსა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ აღრიცხვა-ანგარიშგების და ძირეული კოლექტივებისადმი კონტროლის მოწესრიგება ფიზიკური კულტურის კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

**შ. სუხიშვილი,**
ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების უფროსი.



**სურათზე:** საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში რიმა ჟუკოვა.

## მეციგურეთა ახალი მსოფლიო რეკორდები

სპორტსაზოგადოება „ისკრის“ მაღალმთიან საციგურაოზე ალმა-ატის მახლობლად ამ დღეებში სუფევდა დიდი გამოცოცხლება: აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოზარდი მეციგურეები.

500 მეტრზე რბენაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია 18 წლის ნ. სავოსტინამ (პენზა), რომელმაც დისტანცია 49,5 წამში გაირბინა. სავოსტინას შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია გოგონათა შორის.

ახალი საკავშირო რეკორდით აღნიშნა ნ. სავოსტინამ 3.000 მ. რბენაც (5:50,2). მეორე დღეს მან უჩვენა რა 1.000 მეტრზე — 1:41.8, ხოლო 5.000 მეტრზე — 10:16,0, მრავალჭიდის ჯამში დააგროვა 220,366 ქულა და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი უფროსი ასაკის გოგონათა შორის.

რეკორდების გაუმჯობესება ცადა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთმა უძლიერესმა მეციგურემაც. 5.000 მეტრზე რბენა ო. მამონოვმა დაამთავრა საუცხოო დროში — 8:03,7.



ეს ფენომენალური შედეგი აღემატება როგორც საბჭოთა კავშირის (8:17,2), ისე ნორვეგიელ ი. ანდერსენის მსოფლიო რეკორდს (8:07,3).

შესანიშნავ შედეგს მიაღწია 3.000 მ. რბენაში პ. ბელიაევმა. მან უჩვენა 4:42,1, რითაც 3,6 წამით გააუმჯობესა შვედ ო. სოიფარტის მიერ 1942 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

1.000 მ. დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად გამოვიდა ი. სერგეევი. იგი 200 მეტრს გადის 18,3 წამში, წრეს კი — 30,1. ფინიშზე ყველა წამმზომი აღნიშნავს 1:25,0 — დამყარებულია ახალი მსოფლიო რეკორდი.

შეჯიბრების მეორე დღეს თავი ისახელა ჩვენი ქვეყნის აბსოლუტურმა ჩემპიონმა რიმა ჟუკოვამ. 500 მ. მან დაფარა 46,6 წამში, რითაც დაამყარა საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი.

ორდღიანი დაძაბული ბრძოლის შედეგად კლასიკური მრავალჭიდის ჯამში ო. მამონოვმა მოაგროვა 189,770 ქულა (ახალი საკავშირო რეკორდი).

ლენინგრადელმა ტიტოვმა 5.000 მ. რბენაში აჩვენა 8:20,0 (ახალი საკავშირო რეკორდი) მანვე დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი მცირე მრავალჭიდის ჯამში — 191,183.

* * *

**სურათზე:** ი. სერგეევი.

# დამარცხებული მთის მსხვერპლნი

◇ ნეილონის ალპინიზმი ◇ მზვერავები სპორტსმენების სამოსელში ◇ იანკები და მათი მოკავშირენი ◇ დამზღვევი პოლისი და მთასვლელობა

ინდოეთიდან ჩამოფრენილმა დიდმა სამგზავრო თვითმფრინავმა წრე გააკეთა, სვლა შეანელა და მინდორზე დაეშვა. სტიუარდესამ კარი გააღო და მოძრავი კიბე მიუყენა. პარიზის აეროდრომ ორლიზე ზედიზედ ჩამოდიოდნენ მგზავრები. მათ შემდეგ, კარებში გამოჩნდა მხუმოკიდებული ვაჟკაცი. ეს იყო ლეონელ ტერეი — ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიონალი გამყოლი ალპებში. მას ხელში აყვანილი მოჰყავდა ფეხებდაბინტული ახალგაზრდა სპორტსმენი. ეს იყო ლეონელის ამხანაგი პროფესიით — ლუნ ლიაშნელი, მთასვლელი ანეუდან. იგი საკაცეზე დადეს. მეორე საკაცეზე დააწვინეს გაფითრებული მორის ერცოგი, რომელიც უხალისოდ იძლეოდა პასუხს შეკითხვებსა და მისალმებებზე.

ასეთ სურათს წარმოადგენდა ჰიმალაის ექსპედიციის მონაწილეთა მშობლიურ საფრანგეთში დაბრუნება, იმ ადამიანებისა, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა დაძლიეს მწვერვალი, რომლის სიმაღლე 8 ათას მეტრს აღემატება ზღვის დონიდან.

„სად არიან ჰიმალაების კომიტეტის ან საფრანგეთის ალპური კლუბის ოფიციალური ხელმძღვანელები? სად არის პრეზიდენტის წარმომადგენელი? სად არიან კინოქრონიკის ოპერატორები?“ — ამაოდ კითხულობდნენ ისინი, ვინც ძალთა უდიდესი დაძაბვის ფასად გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

სასწრაფო დახმარების კარეტამ საავადმყოფოში წაიყვანა ლიაშენელი და ერცოგი. ისინი სამუდამოდ დასახიჩრებული იყვნენ. დანარჩენნი ნელნელა დაიშალნენ. „უცნაური, მაგრამ ამავე დროს საუცხოო შეხვედრაა!“ — ძალაუნებურად აღტაცებას გამოთქვამდა მთავრობის წრეებთან ახლოს მდგომი გაზეთის „მონდის“ მექრონიკე.

უკვე ასზე მეტი ექსპედიცია იყო ჰიმალაებსა და ყარაყორუმში, დედამიწის „დიდ ქვის სარტყელზე“, სადაც მდებარეობს ყველა 14 ცნობილი „რვაათასიანი“ მწვერვალი. ფრანგებმა პირველებმა დაიპყრეს ერთ-ერთი ამ მწვერვალთაგანი — ანაპურნა.

ამ ექსპედიციის ბირთვს შეადგენდა 8 კაცი. ერცოგსა და ლიაშენელს გარდა ექსპედიციაში შედიოდნენ: ინჟინერი ჟან კუზი, კინოოპერატორი მარსელ იშეკი, ქირურგი ჟაკ უდოტი, პროფესიონალი მთასვლელი გამყოლები ლეონელ ტერეი, ჰასტონ რებიუფა, აგრეთვე მარსელ შაგსი. სამივე გამყოლი ალპინიზმის ფრანგული სკოლის ინსტრუქტორად მუშაობს შამონიში, მონბლანის ძირზე. მათი სპორტული მიღწევების სიას ამშვენებს სარეკორდო ასვლები ეიგერის, მატერჰორნის, დიდი იურას ჩრდილოეთის კედლებზე. ყველა ეს კლასიკური კედლის მარშრუტებია.

ფინანსიურმა პირობებმა, რომლებშიც იმყოფება მარშალიზებული საფრანგეთი, აიძულეს მეტად დაშორებულ რაიონში „შემსუბუქებული“ ტიპის ექსპედიციის გაგზავნა.

დიდი რეკლამით დაინტერესებულმა კომერსანტებმა ითავეს ლაშქრობის მომარაგება ახალი მასალებისაგან დამზადებული საჭურვლით. პრესა წერდა „ნეილონის ექსპედიციის“ შესახებ. არა მარტო ზურგჩანთები, კარვები ანდა თბილი შარვლები და ჟილეტები, არამედ ქუდებიცა და თოკებიც კი დამზადებული იყო ამ მასალის მომწოდებელი ფირმების მიერ. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რომ საიერიშო ჯგუფის მონაწილენი დიდ გასაჭირში იყვნენ სიცივის გამო, ნეილონის სითბომფარავი თვისებები საკმარისი არ გამოდგა.

ექსპედიციის ძირითადი ბანაკი მოეწყო 2.500 მეტრის სიმაღლეზე ტუკუტჩუში. დასავლეთით თეთრად ბრწყინავდა დავლაგირის (8.176 მეტრი) მასივი, აღმოსავლეთით მოჩანდა მეორე „რვაათასიანი“ — ანაპურნა (8.078 მეტრი).

რადგან გამგზავრება დაუგვიანდათ, ფრანგ ალპინისტებს უნდა დაეჩქარებინათ თავიანთი ასვლა, რათა მთის კალთებზე არ მოესწრო მათთვის ულმობელ მუსონს.

გზად მოწყობილი იყო ხუთი ბანაკი: 5.100, 5.900, 6.600, 7.150, 7.500 მეტრის სიმაღლეზე. უკვე აქედან ჩანს, რომ ზემო საიერიშო ბანაკი მწვერვალთან საკმაოდ ახლოს არ იყო გამართული. უფრო კარგად მოფიქრებული ტაქტიკით საჭირო იყო მისი მოწყობა არანაკლებ 7.700 — 7.800 მეტრზე.

„7.500“ ბანაკამდე ავიდა მხოლოდ ორი წყვილი: ერცოგ — ლიაშენელი და ტერეი — რებიუფა. დანარჩენ წევრთა მაღალმთიანი წვრთნა და აკლიმატიზაცია ძალზე არასახარბიელო გამოდგა.

დადგა გადამწყვეტი იერიშის დღე. პროფესიონალმა გამყოლებმა ტერეიმ და ყოფილმა მარსელელმა მეზღვაურმა რებიუფამ თოვლში გაჭრეს ბილიკი, ამოსჭრეს საფეხურები, მოამზადეს გზები დასაშვებად. დღის ორ საათზე ერცოგმა და ლიაშენელმა მიაღწიეს მწვერვალს. დაპყრობილ იქნა პირველი „რვაათასიანი“. მართალია, ეს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი არ არის: ანაპურნა მათს ათეულში უკანასკნელ ადგილზეა და სამ-მეოთხედ კილომეტრზე მეტით ჩამორჩება ჩომოლუნგმს (ევერესტს), მაგრამ გამარჯვება მაინც მოპოვებული იყო!

ამ ასვლის საანგარიშო მასალებიდან ჩანს, რომ საიერიშო წყვილი მწვერვალის იერიშს შეუდგა სრულფასოვანი რეზერვის გარეშე, რამდენადაც ტერეისა და რებიუფას მოუხდათ მანამდე გზის მთელი მომზადება. მახლობლად კი არ იყო არც დამხმარე და არც მოთვალთვალე ჯგუფები. პირველი სერიოზული ავარიის შემთხვევაში ორივე წყვილი შეიძლება სამუდამოდ დარჩენილიყო ანაპურნას თოვლიან კალთებში.

იერიშის შემდეგ ორივე წყვილი ჩამოვიდა № 5 ბანაკში, სადაც დაუღამდათ. ძალიანაც ჩქარობდნენ მთასვლელები, მაგრამ მათ თავი ვერ აარიდეს მუსონს. ღამით ტემპერატურა კატასტროფულად ეცემოდა; თოვლი, ქარი, ქარბუქი მთელი სიაფთრით დაატყდა თავს გიგანტური მთის კალთებზე მიკრულ მსუბუქ თავშესაფარს.

დილით კარვები თოვლში ჩამარხული აღმოჩნდა. ქარბუქი მძინვარებდა, მაგრამ მთასვლელებმა მაინც გადაწყვიტეს ქვევითა ბანაკში ჩასვლა. მანძილი ბანაკამდე 350 მეტრზე მეტი არ იყო, მაგრამ ისინი, ვინც მწვერვალზე ავიდნენ, დასუსტებული იყვნენ: ხელ-ფეხი არ ემორჩილებოდათ, დაეტყოთ მოყინვის ნიშნები.

მათ ვერ მიაღწიეს ამ დღეს ბანაკამდე, ღამე ყინულოვან ნაპრალში გაატარეს. ოთხივე გრძნობდა, თუ როგორ უბუჟდებოდათ კიდურები და თითები კარგავდნენ გრძნობიერებას. განსაცდელში ჩავარდნილთა ნიშანზე მოუსწრეს ამხანაგებმა. გამოირკვა, რომ საიერიშო ჯგუფის მონაწილეებს ღამე გეთიათ № 4 ბანაკის მახლობლად, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ უკვე უჭირდათ მთის კალთებზე ორიენტირება.

საჭირო იყო დაზარალებულთა კიდევ 550 მეტრით ქვევით, № 3 ბანაკში ჩამოყვანა, სადაც შეეძლოთ მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ამ გადასვლას ყინვარზე, რომლის დახრილობა 70 გრადუსს აღწევდა, ორი დღის დამქანცველი მუშაობა დასჭირდა.

ექიმმა უდოტმა ღია ცის ქვეშ ხელებისა და ფეხების თითები მოაჭრა ლიაშენელსა და ერცოგს. ეს იყო პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი ამპუტაცია.

ასეთია „რვაათასიანზე“ პირველი გამარჯვების ისტორია, გამარჯვებისა, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ „პიროსის გამარჯვება“. ექსპედიციის დაკვირვებებმა, რომლებიც „საგანგაშო“ ტემპებით ჩატარდა, საეჭვოა, რომ რითიმე გაამდიდრონ მეცნიერება.

ავანტიურულ ტაქტიკას შეეწირა საფრანგეთის ორი საუკეთესო სპორტსმენი, რომლებიც ხეიბრებად დაბრუნდნენ. სხვათა შორის, ეს მხოლოდ გაზრდის „ინტერესს“ იმ ფირმებისადმი, რომლებიც დაინტერესებული არიან მხოლოდ ერთით — თავიანთი საქონლის გასაღებით.

ჰიმალაებში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო ბრძოლა დედამიწის უმაღლესი წერტილის დაპყრობისათვის. ეს მწვერვალი აღმოჩენილ იქნა XIX საუკუნეში. განზომილობათა ამოხსნამ უჩვენა მისი სიმაღლე — 8.840 მეტრი.

ინგლისელი გეოდეზისტები არ შეაკრთო იმ ფაქტმა, რომ მსოფლიოს ყველაზე მაღალ მთას უკვე ჰქონდა ადგილობრივი სახელწოდება — ჩომოლუნგმა. კარტოგრაფიული სამსახურის კოლონიზატორმა-მოხელეებმა მას თავიანთი უფროსის ევერესტის სახელი უწოდეს.

თითქმის 60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისელმა გენერალმა ბრუსმა დაიწყო ჩომოლუნგმზე პირველი ექსპედიციის მოწყობა, მაგრამ მწვერვალი დღემდე დაუძლეველი რჩება.

უკანასკნელ წლებში დაჩაჩანაკებულ ბრიტანელ ლომს აქაც ამერიკელები ემუქრებიან. „ჩვენ, ინგლისელები, უნდა ავჩქარდეთ, — განაცხადა ექსპედიციის ხელმძღვანელმა, გვარად ბანდიტმა, — თუ არ გვსურს ვიხილოთ, თუ როგორ აფრიალდება ევერესტზე „იუნიონ ჯეკის“ (ბრიტანეთის ეროვნული დროშა. — ე. დ.) ნაცვლად „ვარსკვლავ-ზოლიანი დროშა“.

ამერიკის შეჭრა ინდოეთში, პაკისტანში, ნეპალსა და სხვა სახელმწიფოებში დიდ უსიამოვნებას აყენებს ინგლისელებს. ჰიმალაებში გაგზავნილი „სპორტული“ ექსპედიციებიც ხომ მუდამ იმ მიზნებს ისახავდნენ, რომლებზეც არაფერს ამბობენ მათს საანგარიშო [illegible] — სამხედრო და [illegible] დაზვერვის მიზნებს. განა დამახასიათებელი არ არის, მაგალითად, ბანდიტის ამასწინანდელი განცხადება იმის შესახებ, რომ ახალი ექსპედიცია ჩომოლუნგმზე „ჩატარდება ომის დროის მსხვილი ოპერაციის მთელი გულმოდგინებით“.

„მშვიდობიანი“ ალპინისტური ექსპედიციების ნამდვილ ხასიათზე მეტყველებენ ბრიტანეთის იმპერიალიზმის გაქნილი აგენტების სახელები. ჩომოლუნგმსა და ჩოგორის (იგივე „კ-2“ ყარაყორუმის მთებზე) ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი შიპტონი თითქმის უკანასკნელი მსოფლიო ომის დაწყებამდე იყო ბრიტანეთის გენერალურ კონსულად კაშგარში სინცზიანის პროვინციაში, რომელიც სსრ კავშირს ესაზღვრება. ყარაყორუმის მთებსა და პამირის მთების განშტოებაზე, რომელიც მდებარეობს სსრ კავშირის ფარგლებს იქით, პირველი წელი როდია, რომ მოგზაურობს მეორე „ალპინისტი“ — ტილმანი, რომელიც მუდამ დიდ ინტერესს იჩენს ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მოსაზღვრე რაიონებისადმი.

ამრიგად, კეთილშობილური სპორტი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს საფრანგეთის ენციკლოპედისტთა მოწაფეებმა ბუნების შესწავლისა და ადამიანთა სულიერი სრულყოფის მიზნით, ამჟამად სულ უფრო სცილდება ამ ჰუმანურ ამოცანებს. კაპიტალისტური სამყაროს მთელი კულტურის დაკნინებამ თავისი გავლენა მოახდინა თანამედროვე ალპინიზმზეც. ავანტიურიზმი და სულიერი გამოფიტვა, სიკვდილთან თამაში და „თოკით გადაბმული“ სიახლის უგულებელყოფა, უარის თქმა თოკის ხმარებაზე ამხანაგის დასაზღვევად — ასეთია თანამედროვე ბურჟუაზიული სპორტის ტიპიური თვისებები.

მისი ბევრი „სარეკორდო“ მარშრუტი ნაკარნახევია მხოლოდ და მხოლოდ სენსაციებით. „ალპიური ინდუსტრია“ მისი თვითმკვლელური მარშრუტების კულტით, სპორტული დიდების ყიდვა-გაყიდვით, რომლებსაც თავის დროზე მწარედ დასცინოდნენ ალფონს დოდე და იაროსლავ გაშეკი, კაპიტალიზმის ქვეყნებში იქცა ისეთივე ბიზნესად, როგორც კინო, თეატრი, პრესა, რომლებიც დღითი დღე ხრწნიან ადამიანთა შეგნებას.

ამ მხრივ დამახასიათებელია ერთ-ერთი დამზღვევი კომპანიის („ვანტერტურის სიცოცხლის დაზღვევის საზოგადოება“) განცხადება: „რისკი, რაც გაწიეს ჰიმალაის ექსპედიციის მონაწილეებმა, უაღრესად დიდი იყო. მაგრამ ამ რისკს არ შეეძლო ჩვენი ალპინისტების ნებისყოფის შესუსტება ანდა მათში მერყეობის გრძნობის გამოწვევა, რადგან ისინი გრძნობდნენ ისეთ მეტად მყარ დასაყრდენს, როგორიც იყო სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც მათ დადეს ჩვენს საზოგადოებასთან“.

თურმე საქმე მთაზე ასვლის გულდასმით მომზადება, კოლექტივის მეგობრული კავშირი კი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ ვინტერტურის დამზღვევი პოლისი!

მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალების მისადგომებთან სპორტული შეჯიბრების დროშით ჩაღდება კონკურენტთა ისეთივე ბრძოლა, რომელსაც ისინი ეწევიან თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის სფეროს გაფართოებისათვის. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა აზიის ქვეყნებში, ახალი დემოკრატიის სახელმწიფოთა შექმნა გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნის კოლონიზატორებსა და მზვერავებს.

შორს არ არის ის დღე, როდესაც თავისი სამშობლო ქვეყნის მწვერვალთა საიერიშოდ გაემართებიან ახალი მთასვლელები, ოდესღაც დაჩაგრულ ხალხთა შვილები.

**ე. დმიტრიევი**



რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა. ბუქარესტში ყოფნის დროს საბჭოთა ფეხბურთელთა გუნდი „შახტიორი“ ამხანაგურ მატჩში შეხვდა რუმინეთის ძლიერ გუნდ „არმიას“. თამაში, რომელიც შედგა „რესპუბლიკის სტადიონზე“ დამთავრდა ანგარიშით 2:1 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. **სურათზე:** თამაშის მომენტი.

ფოტო ა. ვოროტინსკისა (საკდესი).

**სარედაქციო კოლეგია**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12; დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-34.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00222